სასიკეთო ზეგავლენის ფასი

თბილისი. ვ. ი. ლენინის სახელობის “დინამოს” სტადიონი. 29 აპრილი. 47460 მაყურებელი.

“დინამო” (თბილისი) – “ნეფთჩი” (ბაქო) 3:1.

“დინამო”: აბუსერიძე, კეტაშვილი. ჩივაძე, ჭილაია, არზიანი, კაკილაშვილი, ჟორდანია, სულაქველიძე, გუცაევი, ცაავა, ჟორჟიკაშვილი.

“ნეფთჩი”: კრამარენკო, ღარიბოვი, ვაჰაბ–ზადე, აბდულაევი, ხუდიევი, მიხაილევსკი, ალეკპეროვი, ჰასანოვი, ალიევი, ყურბანოვი, ჯავადოვი.

16 წთ. ჩივაძე, 26 წთ. კაკილაშვილი, 59 წთ. ჰასანოვი, 64 წთ. ჩივაძე.

36 წთ. ღარიბოვის ნაცვლად – ახმედოვი, 70 წთ. ჰასანოვის ნაცვლად – ჩერემისოვი.

მსაჯი: იური სავჩენკო (მოსკოვის ოლქი).

გააფრთხილეს კეტაშვილი.

კარში დარტყმა: 20:12 (14:4), ზუსტი 9:2 (6:0), საჯარიმო მოედნიდან 10:4 (7:2).

კუთხური: 3:2 (3:1).

დაჯარიმდნენ: თბილისელები 21 (12), ბაქოელები 15 (9).

სარეცენზიო მატჩზე საუბარი მინდა დავიწყო ინტერვიუთი, რომელიც სახელდახელოდ ეწყობა ყოველი თამაშის შემდეგ. კერძოდ კი პენალტების იაკუშინისეული შეფასებით. ცნობილმა მწვრთნელმა, მართალია, ხელაღებით არ დაადანაშაულა მატჩის არბიტრი, მაგრამ ფრაზასა და ფრაზას შუა აშკარად გამოსჭვიოდა საამისო მცდელობა, პროფესიონალი მწვრთნელისთვის, ცოტა არ იყოს, შეუფერებელი ტენდენციურობა, რაც, გავბედავ და ვიტყვი, სავსებით უადგილო იყო. ამაში უთუოდ დამეთანხმება ყველა, ვინც კი განმეორებით ნახა მატჩის ჩანაწერი. რა თქმა უნდა, სამი პენალტი ერთი თამაშისთვის მეტისმეტად შეიძლება მოგეჩვენოს კაცს, მაგრამ ისიც ხომ მართალია, რომ ამათ გარდა, სულ ცოტა, ერთი ან ორი თერთმეტმეტრიანის დანიშვნის საშუალება და, სხვათა შორის, მორალური უფლება კიდევ ჰქონდა იური სავჩენკოს.

თუმცა, კმარა პენალტებზე, მით უმეტეს, რომ ბაქოში უფრო სამკურნალოდ (მიხეილ იაკუშინის სიტყვებია), ვიდრე ფეხბურთელთა გუნდისთვის კონსულტაციის გასაწევად ჩასული მწვრთნელი იოლი შესაძლებელია თავისდაუნებურად შემცდარიყო. და მაინც, ეს ამოდენა შესავალი გაღიზიანებული კაცისაგან სამაგიეროს გადახდას დაემსგავსებოდა, იმ ინტერვიუზე საუბარი აქ რომ შეგვეწყვიტა.

ჭკუადამჯდარი კაცი ამგვარ ვითარებაშიც კი არ აჰყვება გრძნობებს, ყველაფერს მშვიდად მოისმენს და თავისთვის სასარგებლოსაც აუცილებლად იპოვის. დარწმუნებული ვარ, ფეხბურთის ქართველ სპეციალისტებს არ გამორჩებოდათ, და, ვფიქრობ, მართლაცდა საგულისხმო იყო მიხეილ იაკუშინის შენიშვნა იმის თაობაზე, რომ მასპინძლები მეორე ტაიმს აგებდნენ. საქმე მარტო ის როდია, რომ თბილისის “დინამო” მეორე ორმოცდახუთ წუთს ერთხანს მდევრის როლში იყო, მერე კი მხოლოდ და მხოლოდ ფრეს დასჯერდა. ბუნებრივია, ანგარიში ყოველთვის ზუსტად ვერ ასახავს მეტოქეთა შესაძლებლობებს, მაგრამ “ნეფთჩისთან” შეხვედრის მეორე ტაიმი “დინამომ” სხვა მონაცემებითაც დათმო. თბილისელებს არ ჩამოუწოდებიათ არც

ერთი კუთხური, მეტჯერაც დაჯარიმდნენ და კარში დარტყმებითაც წააგეს – 5:8. ეს ყველაფერი იმითაც არის საგულისხმო, რომ გუნდის კლასს, ტრადიციულად, თამაშის მეორე ნახევრის მიხედვით განსაზღვრავენ. ერთადერთი, რითაც შეიძლება გამართლება მოეძებნოს მასპინძელთა სუსტ თამაშს შეხვედრის დასკვნით ნაწილში, პირველ ტაიმში მოპოვებული ორბურთიანი უპირატესობაა. თუმცა, კაცმა რომ თქვას, ესეც ნაკლია – ვერ იქნა და ვერ გადავეჩვიეთ მცირეთი დაკმაყოფილებას.

ახლა, რათა ამ მართლაც საჭირო და აუცილებელი გამარჯვების განქიქება არ გამოგვივიდეს, კარგიც ვთქვათ, უფრო სწორად, მოვყვეთ თავიდან.

“ნეფთჩისთან” სათამაშოდ გუნდი თითქმის სანახევროდ შეცვლილი გამოვიდა. აქვე უნდა ითქვას, რომ ზოგიერთი ცვლილება იძულებითი იყო. შემადგენლობაში ხუთი ახალი ფეხბურთელის ჩართვა (წინა მატჩთან შედარებით) ფაქტიურად ავად თუ კარგად მოძებნილ თამაშზე უარის თქმაა. მით უფრო უპრიანია, მით უფრო ეკუთვნის საქებარი სიტყვა ყველას. რა თქმა უნდა, კვლავ იყო შეცდომები, ზოგჯერ მიუტევებელიც კი, განსაკუთრებით დაცვის მარჯვენა ფლანგზე – სტუმრები არცთუ მახვილგონივრული მანევრირების მეშვეობით საკმაოდ ხშირად ახერხებდნენ თბილისელთა დაცვის ამ უბნის გაშიშვლებას – მაგრამ რაც მართალია, მართალია: მონდომებასა და თავდადებას ნამდვილად ვერ დაუკარგავ გუნდის ვერც ერთ წევრს. ოფლის ღვრა უქმად არ იკარგება და თუნდაც ამ ერთმა სიკეთემ ის ქნა, რომ მასპინძლებს საკმაოდ ხელშესახები უპირატესობა ჰქონდათ მთელი პირველი ტაიმის განმავლობაში.

მე–8 წუთზე კაკილაშვილს მიეცა გოლის გატანის შესაძლებლობა. მე–15 წუთზე წააქციეს გუცაევი. პენალტი ზუსტად დაარტყა ჩივაძემ. 26–ე წუთზე ცაავას ჩამოწოდებული კუთხური მეორე გოლით დააგვირგვინა კაკილაშვილმა. 28–ე წუთი. გუცაევის რეიდი და ძლიერი დარტყმა. მანამდე ოსტატურად ითამაშა ცაავამ – საკმაოდ შორიდან შენიშნა წინ გამოსული მეკარე და… კრამარენკომ მესამე გოლისგან იხსნა ბაქოელები. 36–ე წუთზე კაკილაშვილმა დაკარგა გოლის გატანის მშვენიერი შესაძლებლობა. 43–ე წუთი. “ნეფთჩის” მცველებმა საჯარიმოში მოცელეს გუცაევი. არბიტრი ერთხანს შეყოყმანდა, მერე კი ხელით ანიშნა ფეხბურთელებს, განაგრძეთ თამაშიო. უცნაური კია, მაგრამ მატჩის შემდეგ ინტერვიუში მიხეილ იაკუშინმა რატომღაც ვერ მოიგონა ეს სიტუაცია.

ორჯერ სტუმრებსაც შეეძლოთ გოლის გატანა: 31–ე წუთზე – ყურბანოვს (კეტაშვილის შეცდომის შემდეგ), 44–ე წუთზე კი – ჯავადოვს, რომელმაც თბილისელთა საჯარიმოში ყურბანოვისგან მშვენიერი პასი მიიღო. პირველად ბურთი აცდა კარს, მეორედ ძელს მოხვდა.

მეორე ტაიმში მეტოქეებმა პენალტებით თითო გოლი გაიტანეს. მატჩის უკანასკნელ წუთზე ბაქოელთა კარი კიდევ ერთ გოლს გადაურჩა, მაგრამ, როგორც უკვე ითქვა, ამგვარი შესაძლებლობა “დინამოს” პირველ ტაიმთან შედარებით გაცილებით ცოტა ჰქონდა.

და ბოლოს: ცალკე მინდა აღვნიშნო გუნდის ყველაზე ძველი და საიმედო ფეხბურთელების ჩივაძისა და გუცაევის მარტო კარგი თამაში კი არა, ის სასიკეთო ზეგავლენაც, ახალგაზრდა პარტნიორებზე გუშინწინდელ მატჩში ასე ნათლად რომ გამოჩნდა.

ირაკლი ბერიაშვილი.
“ლელო”, 1 მაისი, 1984 წ.